საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

ბრძანება

MES 8 23 0000942490

28/07/2023

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისისთვის არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მინიჭების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2023 წლის 27 ივლისის №932476 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №459 დადგენილებით დამტკიცებული „არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისს არაფორმალური განათლების აღიარების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების ფარგლებში და ვადით.

2. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის
დირექტორის მოადგილე
კახაბერ ერაძე